პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 25 ივნისი, 1988 წელი ● № 26 (3054) ● СУББОТА, 25 ИЮНЯ 1988 г.

## ოფიციალური ინფორმაცია

**საქართველოს** კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი რომელზეც განიხილეს ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდში ახალგაზრდობისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის პროფილაქტიკის საკითხები. თათბირზე გამოიკვეთა ივლისაგვისტოში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მუშაობის ძირითადი მიმართულებები. თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გიორგი ჰანტურიამ. აღინიშნა, რომ აუცილებელია ამ ერთობლივი ღონისძიებების დაწყებამდე ანუ პირველ ივლისამდე გაანალიზდეს გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემები, გამოიკვეთოს შარშან ჩადენილი დანაშაულობების ხასიათი და შედგეს ეგრეთ წოდებულ „ცხელი წერტილების“ რუკა. ფართო პროპაგანდა უნდა ჩატარდეს მოსახლეობას შორის, ასევე ფართოდ, საჯაროდ უნდა განიხილოს დანაშაულის ჩადენის ყოველი ფაქტი. ღონისძიებათა გაშუქებისას აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესა, ტელევიზია.

## Каким быть новому уголовному законодательству?

**В НАСТОЯЩЕЕ** время активно ведется работа по подготовке нового уголовного законодательства, так как ныне действующее, которое вступило в силу 30 лет назад, во многом устарело и не соответствует требованиям общества, ведущего борьбу за перестройку и демократизацию. Нуждаются, в частности, в переосмыслении положения об охране прав и интересов личности, ставится вопрос о законодательном закреплении и последовательном осуществлении принципов гуманизма, расширении прав граждан.

Наиболее горячие споры разгорелись вокруг смертной казни. Целесообразно ли оставлять ее в качестве высшей меры наказания? Не противоречит ли это идее гуманизма? Если в разное время смертная казнь у нас в стране трижды отменялась, то в последние годы имела место иная тенденция. Когда в 1958 году принимались Основы нынешнего уголовного законодательства, то исключительная мера наказания в виде расстрела была предусмотрена лишь за 7 видов преступлений. А теперь, после многочисленных изменений и добавлений, она допускается в 16 случаях.

Создатели проекта нового законодательства видят путь к его гуманизации в том, чтобы впредь это исключительное наказание допускалось лишь за три преступления: измену Родине, шпионаж, умышленное убийство при отягчающих обстоятельствах. Одновременно будет расширен круг лиц, к которым смертная казнь не может быть применена. Так, и это впервые, предполагается зафиксировать в законодательном порядке, что смертный приговор вообще не может быть вынесен ни одной женщине.

Целям гуманизации законодательства служит и новая, более четкая дифференциация наказаний: порицание, штраф, лишение права занимать определенную должность, исправительные работы, ограничение свободы, арест, лишение свободы. Причем, последняя мера определяется судом лишь в крайнем случае, если воспитательный эффект наказания не может быть достигнут более мягкими способами. Правоохранительным органам

(Окончание на 4-й стр.).

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**23 ИЮНЯ** состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР, на котором был рассмотрен вопрос «О принимаемых мерах по расширению гласности в деятельности ОВД Грузинской ССР, в целях укрепления правопорядка, дисциплины и соцзаконности, и задачах по дальнейшему совершенствованию этой работы».

На коллегии была заслушана также информация начальника УБХСС МВД Грузинской ССР полковника милиции Б. Чантуришвили о состоянии оперативно-розыскной работы ГОРОВД по усилению борьбы со спекуляцией и установлению источников приобретения предметов спекуляции, в свете требований соответствующего приказа МВД Грузинской ССР.

Утвержден план работы коллегии МВД Грузинской ССР на второе полугодие 1988 года.

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ РУКОВОДЯЩЕГО СОСТАВА МВД ГССР

**20 ИЮНЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД Грузинской ССР.

Внимание руководства УУР МВД Грузинской ССР (начальник — полковник Т. Варданашвили) и УООП МВД Грузинской ССР (начальник—полковник внутренней службы Г. Бичашвили) обращено на наметившуюся в июне месяце тенденцию роста телесных повреждений, краж госимущества, изнасилований и покушений на них.

Руководству УБХСС (начальник—полковник милиции Б. Чантуришвили) предложено осуществить дополнительные мероприятия по активизации борьбы с нетрудовыми доходами, взяточничеством, делячеством.

Руководству УГАИ (начальник — полковник милиции Г. Цинцадзе), в связи с массовым выездом школьников в пионерские лагеря, предложено осуществить мероприятия по обеспечению контроля за техническим состоянием автотранспорта, безопасностью дорожного движения и, при необходимости, организовать сопровождение колонн автотранспорта автомашинами ГАИ.

Всем руководителям служб министерства в преддверии и в период работы XIX Всесоюзной партийной конференции поручено повысить дисциплину и бдительность среди личного состава, усилить контроль за работой подчиненных подразделений, чтобы обеспечить в республике надлежащий общественный порядок.

На совещании была заслушана также информация начальника отдела физподготовки и спорта УК МВД Грузинской ССР старшего лейтенанта внутренней службы И. Барского о состоянии физической подготовки личного состава органов внутренних дел и мерах по ее улучшению. Руководителям региональных зон поручено, наряду с оперативно-служебной деятельностью, осуществлять контроль за состоянием физподготовки личного состава в соответствии с приказом МВД СССР. Решено ввести в практику регулярное заслушивание начальников ГОРОВД и руководителей служб о состоянии физподготовки на оперативных совещаниях при министре внутренних дел республики.

На оперативном совещании принята к сведению информация начальника Горийского РОВД майора милиции У. Мгеладзе о результатах и состоянии организации деятельности общественных пунктов охраны порядка Горийского РОВД. Начальнику райотдела предложено принять необходимые меры по налаживанию работы общественных пунктов охраны порядка, в соответствии с предъявляемыми требованиями, а также усилению совместных профилактических мер в укреплении правопорядка и борьбе с преступностью.

### 26 ივნისი — საბჭოთა ახალგაზრდობის დღე



**ახალგაზრდობა** — შესანიშნავი დროა. სწორედ ამ პერიოდში ხდება ადამიანის ჩამოყალიბება მოქალაქედ, პიროვნებად, პროფესიონალად. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს შინაგან საქმეთა ორგანოებში ახალგაზრდა კადრების შერჩევისა და აღზრდის პროცესი.

მოწინავეთა შორის არიან ოჩამჩირის შს რაიგანყოფილების ახალგაზრდა თანამშრომლები, კომკავშირელები: მილიციის სერჟანტი ბესიკ გაბისონია და რიგითი მილიციელი მურმან გოფია. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ კომკავშირული საგზურებით მოვიდნენ მილიციაში სამუშაოდ. დაჯილდოვებულნი არიან კომკავშირის რაიკომის დიპლომებით.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

### პარტკონფერენციის შესახვედრად

სკკპ XIX კონფერენცია

## დღის წესრიგშია...

**პარტიულმა** კრებამ, რომლის დღის წესრიგში ორი საკითხი იდგა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის 31 მარტის და 2 აპრილის დადგენილებებიდან გამომდინარე შს განყოფილების პირადი შემადგენლობის ამოცანები და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის თეზისების განხილვა, კალინინის შს რაიგანყოფილებაში მართლაც გულახდილობის ატმოსფეროში ჩაიარა. ამ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდნენ გ. მინდიაური და პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე გ. ჯულელი. შემდეგ კი ტრიბუნა კრების მონაწილეებმა „დაისაკუთრეს“:

**ტ. ლეფხაია, რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე:** ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას კონტროლს უწევენ როგორც პარტიული, ასევე საბჭოთა ორგანოები, შესაბამისი სამსახურები, კომკავშირი და სხვა. შს ორგანოებს კი დამატებით პროკურატურაც. ეს ჩემი აზრით აფერხებს მათი მუშაობის ინტენსიურობას, ინიციატივას, მიზანშეწონილად მიმაჩნია შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ხელმძღვანელობა წარიმართოს ერთი ორგანოს მიერ;

**გ. მინდიაური, განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში:** — აუცილებლად მიმაჩნია დაისვას საკითხი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, განყოფილებაში ანალიზისა და კონტროლის ინსტრუქტორთა საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ;

**ე. ჯამბურია, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული:** კალინინის სახელობის რაიონი თავისი სპეციფიკით განსხვავდება დედაქალაქის სხვა რაიონებისაგან. აქ სისტემატიურად ტარდება რესპუბლიკური თუ საკავშირო მნიშვნელობის ღონისძიებები. სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, ხშირ შემთხვევაში, უბნის ინსპექტორები და სხვა სამსახურების თანამშრომლები მოწყვეტილნი არიან თავიანთ ძირითად სამსახურს. საჭიროა განყოფილებას გადაეცეს დანაყოფი 20-25 კაცის შემადგენლობით აღნიშნულ ღონისძიებებზე წესრიგის დასაცავად.

კრებაზე გამოითქვა სხვა ბევრი საყურადღებო წინადადებაც. კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის შს სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოლკოვნიკმა გ. შალამბერიძემ და პარტიის კალინინის რაიკომის ინსტრუქტორმა გ. მარტინენკომ

ვ. ნადირაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

НАВСТРЕЧУ XIX ПАРТКОНФЕРЕНЦИИ

# Обсуждая тезисы ЦК КПСС

**В ПЕРВИЧНЫХ** партийных организациях центрального аппарата МВД Грузинской ССР завершились обсуждения Тезисов ЦК КПСС к XIX Всесоюзной партийной конференции.

Коммунисты, сотрудники Министерства внутренних дел республики, выразив искреннюю заинтересованность в том, чтобы партийная конференция прошла под знаком углубления и расширения процесса перестройки, демократизации во всех сферах жизнедеятельности партии и государства, в целом, одобрив Тезисы, высказали немало интересных предложений, относящихся к деятельности партийных, советских, административных органов и верят, что их мнения будут учтены.

На партийных собраниях высказывались различные точки зрения по вопросам обеспечения научного подхода к оценке преступности как социального явления, необходимости разработки научной концепции преступности в современных условиях, а также изменения критериев оценки деятельности органов внутренних дел.

Предлагалось также, в порядке эксперимента, перевести отдельные службы министерства на полный хозрасчет, предоставить их руководителям право самостоятельного определения должностных окладов сотрудников по конечным результатам их работы.

Большое количество предложений поступило по вопросу совершенствования структуры партийных организаций. По мнению большинства коммунистов, необходимо установить для всех партийных комитетов, начиная с районного и городского, единый срок полномочий—5 лет. При этом следует ограничить занятие выборных должностей в КПСС двумя выборными сроками подряд, без всяких оговорок о возможности избрания на третий.

Многие коммунисты предлагают выборы секретарей райкомов (горкомов) партии и выше проводить тайным голосованием и не на пленумах, а на конференциях и съездах партии с выдвижением нескольких кандидатур на эту должность. На собраниях высказаны мнения о целесообразности введения в состав Политбюро ЦК КПСС всех первых секретарей ЦК союзных республик. Предлагалось аналогичным образом формировать и Совет Министров СССР. Мнения коммунистов сходились на необходимости объединения в единый орган Центральной Ревизионной комиссии и Комитета Партийного Контроля при ЦК КПСС.

На собраниях поднимался вопрос о том, чтобы разрешить первичным партийным организациям расходовать часть денежных средств от поступивших партийных членских взносов для нужд парторганизаций, по их усмотрению.

В Тезисах ЦК КПСС к XIX Всесоюзной партийной конференции отмечается необходимость создания постоянно действующего механизма сопоставления взглядов, критики и самокритики в партии и обществе, с чем коммунисты МВД Грузинской ССР выразили полное согласие.

Обсуждение Тезисов еще раз наглядно показало, что сотрудники центрального аппарата МВД Грузинской ССР единодушно поддерживают политику партии, направленную на глубокие революционные преобразования, активно отстаивают позиции перестройки, демократизации, гласности и выражают готовность с еще большей энергией бороться за обновление нашего общества.

Коммунисты, весь личный состав министерства считают, что мы должны направить усилия по пути перестройки, добиваться все более ощутимых результатов ее во всех сферах жизни нашего государства, своей повседневной служебной деятельности, последовательным осуществлением принципов перестройки обеспечивать необратимость этого поистине революционного процесса обновления.

**Б. ШОНИЯ,**
**заместитель секретаря партийного комитета МВД Грузинской ССР.**

# მოზარდი — ყურადღების ცენტრში

**რუსთავის** პროკურატურამ შეისწავლა 1987 წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა და სამართალდარღვევათა დინამიკა.

როგორც შემოწმებით დადგინდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში გარკვეულად გააქტიურდა არასრულწლოვანების სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა. იკლო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობამ.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის არ აღნიშნულა: განზრახ მკვლელობის, გაუპატიურების, ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხმარებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების შემთხვევები.

სამაგიეროდ, მკვეთრად იმატა სახელმწიფო ქონების ქურდობის გზით დატაცების რაოდენობრივმა მაჩვენებელმა (სახელმწიფო ქონების ქურდობის 3 ფაქტი 6 არასრულწლოვანის მონაწილეობით), ამასთან, ყველა მათგანი ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით. იმატა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის ხვედრითმა წილმაც (პირადი ქონების ქურდობის 6 ფაქტი 9 არასრულწლოვანის მონაწილეობით).

მიუხედავათ იმისა, რომ არასრულწლოვანთა შორის წლების მანძილზე სწორედ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩადენაა გავრცელებული, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვერ იქნა ღრმად შესწავლილი მათი გამომწვევი მიზეზები და ხელისშემწყობი პირობები, მიზნობრივად არ ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი. რუსთავში ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკური მუშაობის გააქტიურებისათვის 1987 წელს ჩატარდა 13 გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური ღონისძიება. რეიდების შედეგად არასრულწლოვანთა ინსპექციაში წარდგენილ იქნა 630 არასრულწლოვანი. განვლილი წლის განმავლობაში მაწანწალობისა და სწავლაზე თავის არიდებისათვის აღრიცხვაზე აიყვანეს 74 მოზარდი.

საანგარიშო პერიოდში გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ადრეული პროფილაქტიკის ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა სისტემატური კონტაქტი და მუშაობა ე. წ. არაკეთილსაიმედო ოჯახებთან. გასულ წელს შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციაში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 26 არაკეთილსაიმედო ოჯახი. იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით რუსთავის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე იმყოფება 450 ალკოჰოლიკი და ნარკომანი, თვალნათლივ ჩანს, რომ მხოლოდ 26 არაკეთილსაიმედო ოჯახის რეგისტრირება აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეში არსებულ ვითარებას. საჭიროა უფრო ეფექტური ღონისძიების გატარება.

დღემდე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მოზარდთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხი.

ნაკლოვანებები შეიმჩნევა ადმინისტრაციული ორგანოების პროფილაქტიკურ საქმიანობაში, შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს აღრიცხვაზე აყვანილ „ძნელ" არასრულწლოვანებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის სათანადო დონეზე ჩატარებას, არ მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს იმ პირთა მაქსიმალურად გამოვლენასა და პასუხისგებაში მიცემისათვის, რომლებიც დანაშაულში ითრევენ არასრულწლოვანებს, ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის და სამართლებრივ დარღვევათა შესახებ არ ატყობინებენ იმ შრომით კოლექტივებს, სადაც მოზარდთა მშობლები მუშაობენ. ხარვეზებია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობაშიც.

**ბ. თხელიძე,**
**რუსთავის პროკურორის თანაშემწე.**



**მილიციის** უფროსი ლეიტენანტი, კომუნისტი ამირან ვეფხვაძე 1984 წლიდან მუშაობს შს ორგანოებში, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

1987 წელს დაინიშნა ზესტაფონის შს განყოფილებაში მომკვლევის თანამდებობაზე. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც პრინციპულმა და საქმის მცოდნე ახალგაზრდა სპეციალისტმა. სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, რამდენიმე დღის წინ, იგი დანიშნეს აქ, ახლადშექმნილი სარაიონთაშორისო საგამომძიებლო განყოფილების გამომძიებლად.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

# Каким быть новому уголовному законодательству?

(ОКОНЧАНИЕ).

надлежит ориентироваться прежде всего на необходимость шире использовать предоставленную законом возможность для назначения наказания, не связанного с лишением свободы.

Впервые предусматриваемый в законодательстве вид наказания — ограничение свободы — также не может быть применен к обширной категории лиц: не достигшим 18 лет, беременным женщинам или женщинам, имеющим детей до 8 лет, нетрудоспособным, а также к мужчинам и женщинам старше 60 и 55 лет соответственно.

За ряд преступлений предполагается повысить возраст уголовной ответственности несовершеннолетних. И если сейчас они могут предстать перед судом за совершение примерно 20 преступлений, то в будущем этот список должен быть уменьшен более чем вдвое. Сокращается и максимальный срок лишения свободы несовершеннолетних, предусматриваются возможности их освобождения от уголовной ответственности, замены наказания более мягким.

Впрочем, применение подобных мер будет расширено и по отношению ко всем остальным категориям лиц. Чаще станут возможны ситуации, когда подсудимый, хотя по приговору признается виновным, тут же освобождается из-под стражи. Суд, в полной мере учтя личные качества преступившего закон, все обстоятельства дела, считая, что уже сам процесс имел серьезный воспитательный эффект, ограничивается более мягким наказанием.

Согласно проекту нового законодательства, не будут привлекаться к уголовной ответственности супруг или близкие родственники преступника, которые не сообщили о его деянии или укрывали его. Уточнено и специально регламентировано право на необходимую оборону. Оно не ставится в зависимость от возможности избежать посягательства или обратиться за помощью к другим лицам или органам власти.

В условиях развития демократии и гласности, учитывая опыт состоявшихся и предстоящих судебных процессов над переродившимися руководителями разного уровня, принципиальное значение будет иметь положение о том, что лицо, совершившее преступление, подлежит уголовной ответственности независимо от происхождения, социального, должностного и имущественного положения. Равенство всех граждан перед законом, справедливость, гуманизм и демократизм — такие принципы закладываются в проект нового уголовного законодательства. Другой принцип — неотвратимость ответственности для преступника. Именно неотвратимость наказания, а не его ужесточение — эффективное средство борьбы с преступностью.

Новое уголовное законодательство должно быть направлено на то, чтобы обеспечить каждому советскому человеку твердую уверенность в охране его прав и законных интересов, чтобы он чувствовал заботу государства о неприкосновенности его личности и имущества, уважение его чести и достоинства. Ставится задача, чтобы ни один правонарушитель не ушел от установленной законом ответственности, и ни один невиновный не был привлечен к уголовной ответственности и осужден.

**Т. КОВАЛЕВА,**
**кандидат юридических наук.**
(АПН).

**1988 — არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირების წელი!**

# დამშვიდების უფლება არ გვაქვს

**...მიმდინარე** წლის აპრილ-მაისში თელავის რაიონში არ მომხდარა მძიმე სახის დანაშაული.

ეს იმ მიზანმიმართული პროფილაქტიკური მუშაობის შედეგია, რასაც შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები ეწევიან. პროფილაქტიკურ ღონისძიებებს კი მასიური ხასიათი აქვს, ტარდება რეიდების, მართლწესრიგის განმტკიცების ათდღიურები, კვირეულები.

რაიონში ხშირად მიმდინარეობს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი რეიდები საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად. როგორც დღის, ასევე ღამის საათებში, რაიონის ტერიტორიაზე მოძრაობს ოპერატიული ჯგუფი, რომლის დანიშნულებაა მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთა-აცილება.

როგორც ვიცით, 1988 წელი გამოცხადებულია არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის შემცირების წლად, ამიტომ ჩვენი ძირითადი ყურადღება აქეთკენაა მიპყრობილი. რაიონში არსებულ ყველა სასწავლო დაწესებულებაზე, კერძოდ, სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებზე მიმაგრებულია შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ოფიცერთა შემადგენლობა. მათი მოვალეობაა პროფილაქტიკური სახის ღონისძიებების, ლექცია-საუბრების ჩატარება მოსწავლე ახალგაზრდობასთან ურთიერთკონტაქტების გზით. რაიგანყოფილების ხელმძღვანელები შეფობენ იმ ძნელად აღსაზრდელებსაც, რომლებიც აღრიცხვაზე არიან აყვანილი. გაწეული მუშაობის ანგარიშს ვისმენთ პირადი შემადგენლობის ოპერატიულ თათბირზე.

გატარებულმა პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა სასიკეთო შედეგი გამოიღო — 1988 წლის 5 თვეში არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაული არ მომხდარა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღარ გვყავს ზნეობრივი ნორმებისა და კანონების დამრღვევნი, რასაც უწინარესად განაპირობებს მათდამი უზედამხედველობა მშობელთა, პედაგოგთა, შეფების მხრიდან, რომლებსაც ამ მხრივ უფრო მეტი მუშაობა მართებთ. ამ კუთხით აქტიურ დახმარებას მოვითხოვთ საზოგადოებისაგან.

მიღწეული დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს, ჩვენ კვლავაც გამოვნახავთ უფრო ეფექტურ ფორმებს, რათა მომავალმა თაობამ მხოლოდ პატიოსანი, სწორი გზით იაროს ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ.

**თ. იმერლიშვილი,**
**თელავის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ЧЕТКОСТЬ И ОПЕРАТИВНОСТЬ

## ХАРАКТЕРИЗУЮТ РАБОТУ ОДНОГО ИЗ ПОДРАЗДЕЛЕНИЙ МВД РЕСПУБЛИКИ, ВЫПОЛНЯЮЩЕГО ОТВЕТСТВЕННЫЕ И ВО МНОГОМ СПЕЦИФИЧЕСКИЕ ФУНКЦИИ

**...АВТОМАШИНА** притормозила в сотне метров от вагончика — поста, в котором размещалась дежурная смена, — ветврач и шестеро милиционеров. И уже через мгновение ночную тишину предгорий Кавказского хребта разорвали ружейные залпы. Пули впивались в дверные рамы, крушили оконное стекло. Находу приводя в порядок оружие, из вагона выскакивали отдыхавшие постовые, и вслед удалявшейся машине с преступниками зазвучали выстрелы.

Такие «профилактические» обстрелы постов отдельного подразделения милиции, преследующие цель запугать милиционеров, по словам его командира, подполковника милиции В. Табатадзе — не редкость. На протяжении 900-километровой трассы, проходящей по территории Грузии, Северной Осетии и Чечено-Ингушетии, располагаются посты подразделения, обеспечивающего сохранность поголовья многотысячных овечьих отар, перегоняемых с летних горных пастбищ на зимние в Ставрополье и Краснодарском крае и обратно. Случается здесь всякое. И ночные обстрелы, подобные вышеописанному. И прямые вооруженные столкновения с угонщиками скота, подобные тому, во время которого получил недавно серьезное пулевое ранение рядовой Р. Шармиашвили, вступивший в схватку с пятью преступниками. Только за прошлый год сотрудники подразделения вернули хозяевам более 4 тыс. голов скота. Но обеспечением безопасности перегонов не ограничивается круг обязанностей сотрудников коллектива.

Одной из основных задач подразделения является четкое и своевременное проведение карантинных мероприятий при внезапном обнаружении заболеваний скота в различных регионах республики. За последние 3 года в Грузии не было зарегистрировано крупных вспышек эпизоотических заболеваний. Однако недавние события в Цхакая и Сагареджойском районе, где, в частности, из-за угрозы распространения бруцеллеза, пришлось срочно ввести карантин на свиноводческом комплексе, показали, насколько важны оперативность и высокий профессионализм в действиях подразделения для обеспечения локализации очагов заболеваний, многие из которых непосредственно угрожают жизни и здоровью людей. Посты выставляются также на автотрассах при въезде в республику, и личный состав оказывает здесь немалую помощь сотрудникам других служб МВД ГССР, пресекая ввоз на территорию Грузии не только зараженного скота и продовольствия, но и наркотических веществ, выявляют и задерживают преступников разного рода.

Отдельное подразделение — это 72 милиционера, решающие непростые задачи на территории всей Грузии, а в сезоны перегонов скота — на территории 3-х республик. В рядах этого интернационального коллектива служат грузины и русские, азербайджанцы и осетины. Важность и ответственность задач, стоящих перед подразделением, предъявляют повышенные требования к уровню профессиональной и идейно-политической подготовки личного состава. Не случайным представляется тот факт, что за последние 12 лет, что руководит коллективом В. Табатадзе, в нем не зафиксировано ни одного нарушения соцзаконности. В немалой степени это явилось результатом повышенного внимания к созданию отлаженной системы профессиональной учебы, постоянному росту служебного мастерства и физической подготовленности сотрудников. Занятия проводятся в оборудованных классах, а также на стадионе и в тире, построенных собственными силами. Не случайны поэтому и постоянные высокие спортивные показатели милиционеров подразделения в чемпионатах МВД ГССР и МВД СССР.

Руководство подразделения делает все, чтобы обеспечить стабильность состава коллектива. В частности, на территории его расположения функционирует общежитие на 12 мест, в котором вернувшиеся из длительной командировки сотрудники могут принять душ, отдохнуть перед новым заданием. Есть тут и нерешенные проблемы. Одна из них — условия проживания милиционеров на постах во время перегонов скота. Можно было бы подумать о том, чтобы обеспечить здесь сотрудников милиции всем необходимым для десятидневного дежурства, в том числе — сухим пайком, а не ставить их перед необходимостью приобретать продовольствие в соседних, порой весьма удаленных селах. Другая наболевшая проблема — транспорт. Из 5-и автомашин подразделения 3 в прошлом году «попали под сокращение». Оправдан ли подобный шаг в отношении небольшого коллектива, обслуживающего всю республику?

...Когда подполковник В. Табатадзе присоединился в нашей беседе с замполитом подразделения капитаном З. Чаподзе, он был весел и энергичен. Трудно было предположить, что позади у него — две бессонные ночи. Только что завершился перегон скота с Кизлярских пастбищ в Грузию. Завершился без потерь.

**А. ПОДОПРИГОРА.**

• • •



**НА СНИМКЕ:** командир подразделения подполковник милиции В. Табатадзе проверяет результаты учебной стрельбы милиционера З. Самхарадзе.

# გმადლობთ, კეთილო ადამიანო!

**პაციენტის** განკურნება ხომ ექიმის უშუალო მოვალეობაა, მაგრამ მთავარი ის გულისხმიერებაა, ის დიდი ყურადღება და სითბოა, რასაც ავადმყოფი და მისი მშობელი დედა გრძნობს ექიმებისაგან და ყველა იმ კეთილსინდისიერი ადამიანებისაგან, რომლებიც პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

რთულია ისეთ მძიმე ავადმყოფთან მუშაობა, რომლებიც რესპუბლიკის შს სამინისტროს შრომაგასწორების დაწესებულებათა სამმართველოს სპეციალური ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებიან. აქ ექიმს უაღრესად თბილი გული უნდა ჰქონდეს, სწორედ ასე ხასიათდება აღნიშნული საავადმყოფოს მედპერსონალი, რომელსაც სათავეში უდგას სპეტაკი, სიკეთით სავსე, ძლიერი ნებისყოფის ადამიანი გ. ფესვიანიძე. განყოფილების უფროსი ექიმი შ. ბერიძე, ექიმები: ა. ზადვორნი, ო. ჭოხონელიძე, ვ. უნგიაძე.

მე, პირადად მომიხდა აღნიშნულ საავადმყოფოში შვილის მიყვანა და მკურნალობა. სამედიცინო თუ მორალურმა დახმარებამ ყველა ჩემი მოლოდინს გადააჭარბა.

ექიმების იმედიანი სიტყვები, როგორც მშობელ დედას, ღონეს მმატებდა, იმედს მიღვიძებდა, მჯეროდა, რომ სიკვდილი ველარ მოერეოდა ჩემს ერთადერთ შვილს.

დაე, ემრავლოთ ასეთ კეთილ, თავმდაბალ უანგარო, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც აქ მუშაობენ.

ვულოცავ მათ მედიცინის მუშაკის დღეს 19 ივნისს, მუდამ მეგზური ყოფილიყოს მათთვის ტკბილი სიტყვა, თბილი ღიმილი და კარგი განწყობილება.

**ქ. დოლიძე,**

**მახარაძის რაიონი. მთისპირის საშუალო სკოლის პედაგოგი.**

## ТОЛЬКО ФАКТЫ

**● 17 июня на посту ГАИ «Леселидзе» сотрудниками подразделения ДПС Абхазской АССР задержана автомашина «КАМАЗ-5412», управляемая водителем А. С., который из г. Зестафони перевозил 600 литров водки домашней выработки, принадлежащей неустановленным лицам.**

**● 17 июня сотрудниками Руставского ГОВД задержан А. М., администратор Руставской турбазы, который от Л. Р., за предоставление ему комнаты для встречи с женщиной, получил в виде взятки 20 рублей.**

**● 20 июня Джавским РОВД возбуждено уголовное дело по ст. I УК ГССР в отношения Д. Н., который повторно управлял транспортным средством в состоянии алкогольного опьянения.**

**● 21 июня в пос. Шеки Азербайджанской ССР сотрудникамк Первомайского РОВД г. Тбилиси и ОУР УВД г. Тбилиси задержан Н. Д., у которого из квартиры изъято 1 кг. 50 гр. коквара. Установлено, что он же продал 252 гр. коквара ранее задержанной К. Х.**

# „არაქალური პროფესიის“ პროფესიონალი

**ამ** ქვეყანაზე ბავშვური ოცნების უვნებელი სტერეოტიპები არსებობენ. პატარა ბიჭები სახანძრო მანქანის მძღოლობაზე, კოსმონავტობაზე ან გენერლობაზე ოცნებობენ. პატარა გოგონები — მასწავლებლობაზე, ექიმობაზე, დედობაზე და ბებიობაზეც კი. აი ნათელა თინიკაშვილი კი ყველა ამ „საყვარელი“ სტერეოტიპისაგან განსხვავებით ბავშვობიდან ოცნებობდა... გამომძიებლობაზე. დიახ, გამომძიებლობაზე, დამნაშავის გამომჟღავნებაზე, სიმართლის დაცვაზე. ნუ გაუკვირდება მკითხველს!? თავად ქალბატონი ნათელა, საქარხნო რაიონის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი, ამ „უცნაურობას“ სავსებით ლოგიკურად ხსნის: — საქმე იმაშია, სულ პატარა ბავშვობიდან ყველაზე მეტად უსამართლობას, დაჩაგვრას ვერ ვიტანდი. ყოველთვის ვცდილობდი ჩავრეულიყავი, მეშველა, შემდეგ ეს ყველაფერი ჩემდა უნებურად ჩვევაში გადამეზარდა, სასიცოცხლო მოთხოვნილებად მექცა და ალბათ სწორედ ამიტომაც, საბოლოოდ ეს პროფესია ავირჩიე.

სურვილი ერთია — შესაძლებლობა მეორე. ისე, კაცმა რომ თქვას, როდესაც ნათელა თინიკაშვილს, ამ სანდომიან მანდილოსანს უყურებ, ძნელი წარმოსადგენიც კია იგი გამომძიებლებისათვის ჩვეულ სიტუაციებში. მაგრამ ფაქტი ფაქტია...

— ქალბატონო ნათელა საჭიროების შემთხვევაში დამნაშავეს ესვრით? — ვეკითხები.

— ვესვრი, — მპასუხობს გამომძიებელი და თითქოს უფრო ფიცხი უხდება გამომეტყველება.

— იქნებ შვილები ჰყავს? — ვაგრძელებ.

— მეც მყავს შვილები.

ქალბატონი ნათელა ორი შვილის დედაა — გოგოს და ბიჭის.

როდესაც ნათელა თინიკაშვილს გაიცნობთ მიხვდებით, იმ ყველაზე მთავარს, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ადამიანის არსებობას. მიხვდებით, რომ თუ საქმეს მონდომებით და სიყვარულით აკეთებს, მაშინ ქალიც თავისუფლად შეიძლება იყოს პროფესიონალი გამომძიებელი. თანაც ისეთი მაღალი სინჯის, როგორიც ქალბატონი ნათელა თინიკაშვილია.

**ზ. გომართელი.**

# ზურაბი — უბნის ინსპექტორის სიყვარულით

**კალინინგრადის** მილიციის საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზურაბ სურმანიძე შუახევის შს რაიგანყოფილებაში გაანაწილეს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორის თანამდებობაზე.

ამ თანამდებობაზე ერთი წელი დაჰყო. იმ დროისთვის რაიონს უბნის ინსპექტორის საშტატო ერთეული დაუმატეს, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე რეკომენდაცია ზურაბ სურმანიძეს მისცეს. იგი სკკპ წევრია და წინამძღოლობს შს განყოფილების პირველად კომკავშირულ ორგანიზაციას.

სასწავლებელში მიღებული თეორიული ცოდნა, ძიების უნარი, ყველაზე მეტად ამ თანამდებობაზე გამოავლინა. უბანი, სადაც ზურაბი მუშაობს, თავისი სპეციფიკით ერთ-ერთი რთული უბანია შუახევის რაიონში. განსაკუთრებით სოფ. ფურტიოში მძლავრობდა კერძომესაკუთრული ტენდენციები, შეიმჩნეოდა მეზობლური უთანხმოებანიც, ბათურაულში კი ადგილი ჰქონდა ლოთობის ფაქტებს.

უბნის ინსპექტორმა შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა დანაშაულს და მიზანსაც მიაღწია. იგი პიროვნების ინტერესების ფხიზელი დამცველიცაა და ადამიანთა აქტიური აღმზრდელიც, მათი უფლებებისა და მომავლისათვის მებრძოლიც.

მოქალაქე ვ. მ.-ძე საპატიმროდან დაბრუნდა, ცხოვრებაზე გულაცრუებულს ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. მოსალოდნელი იყო ახალი დანაშაული. 6 თვეზე მეტი დასჭირდა ზურაბს, რომ იგი ნორმალური ცხოვრებისაკენ მოებრუნებინა. ახლა მოქალაქემ ოჯახიც შექმნა და ვაჟსაც, ზურაბის პატივსაცემად, მისი სახელი დაარქვა. ასეთი და სხვა ამგვარი ფაქტები ერთეული არაა ახალგაზრდა უბნის ინსპექტორის საქმიანობაში.

მის სამოქმედო უბანში ბოლო ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაული. შესამჩნევად იკლო ლოთობის ფაქტებმაც, მეზობლურმა უთანხმოებებმა, მან მჭიდროდ შემოიკრიბა სახალხო რაზმელები, მათთან ერთად ატარებს შემოწმება — რეიდებს. მინიმუმამდე შეამცირა სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტები.

წინ ახალი წარმატებებია, ამის თქმის საფუძველს მისი ყოველდღიური საქმიანობა გვძლევა.

**რ. ფუტკარაძე,**

შუახევის რაიონის შს განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

# დათარსული კაცის წერილი

## ფელეტონი

**ჩვენს** სარედაქციო ფოსტაში არცთუ მცირე რაოდენობის წერილები შემოდის. მათ შორის, საჩივრებიც საკმაოდაა. რას და ვის არ აბრალებენ ავტორები საკუთარ გასაჭირს, და როგორც წესი, არცერთ მათგანს არ მოსვლია აზრად ცოტა რამ განგებისთვისაც გადაებრალებინა. ქვემოთმოყვანილი წერილის ავტორი საკუთარ გასაჭირს — უბინაობას, ბიუროკრატებს აბრალებს, თვლის, რომ ცამეტი წელი საკმარისია უბნის ინსპექტორისათვის საცხოვრებელი ბინის მისაღებად. შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოთეზა: პატივცემული ავტორი დათარსულია! გასაჭირი ახლა ექნება თუ ექნება! თავისი შრომითი საქმიანობის მეცამეტე წელს უბინაობას ინტრიგანის ტიტულს მიუმატებს, რადგან სწორედ მეცამეტე წელს „აიტანა წერამ“ და გამოგზავნა ჩვენთან ეს წერილი:

**„მებრძოლი გუშაგის“ რედაქციას!**

**ასეთი შინაარსის წერილს პირველად ვწერ, თქვენ თუნდ საჩივარი უწოდეთ, თუნდაც თხოვნა. მე კი ჩემს გასაჭირს მოგახსენებთ.**

**1975 წელს დავამთავრე სსრკ შს სამინისტროს ქ. თბილისის მილიციის სპეციალური საშუალო სკოლა და გამანაწილეს სამუშაოდ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შს სამმართველოში. იქედან კი ცხინვალის რაიონის შს განყოფილებაში უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე, რაზედაც დღესაც ვმუშაობ. ე.ი. უბნის ინსპექტორად ვმუშაობ უკვე 13 წელია და ცამეტი წელია ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, ნახევრადსარდაფში.**

**1977 წელს საჭირო საბუთები მოვაგროვე და შევიტანე შს სამმართველოში ბინის მისაღებად. მაშინ რიგით ვიყავი მეთოთხმეტე. მას შემდეგ კი რა ბედი ეწია ჩემს საბუთებს არ ვიცი.**

**ჩვენი რაიონის ცენტრი მდებარეობს ქალაქ ცხინვალში. სადაც არის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომელიც ჩვენს რაიონს ბინებს არ აძლევს. შს სამმართველოდანაც არავითარი დახმარება არ ჩანს. აღნიშნულის გამო ჩემი ოჯახით ცხოვრება მიხდება ნაქირავებ ბინაში, იქნებ თქვენ დამეხმაროთ და გამარკვიოთ მივიღებ თუ არა ოდესმე საცხოვრებელ ბინას. მგონი რომ საბჭოთა კავშირში არ არის უბნის ინსპექტორი, რომელიც მუშაობდეს 13 წელი და ცხოვრობდეს ნაქირავებ ბინაში. ეს მაშინ, როცა არის შესაბამისი დადგენილებები უბნის ინსპექტორთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.**

**ცხინვალის რაიონის შს განყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი ო. ქაბანაძე.**
**(სტილი დაცულია ვ. ნ.)**

ავტორს უნდა მოვახსენოთ, რომ უზუსტობებიც დაუშვა. ჯერ ერთი — ასეთი შინაარსის წერილს პირველად არ დაწერდა, რადგან ბინის მისაღებად განკუთვნილ საბუთებში, თუ არ ვცდებით, განცხადებაც საჭიროა, მეორე —საბუთები უკვალოდ არ დაიკარგებოდა, რადგან ბუნებაში არაფერი არ ქრება უბრალოდ, იგი შეიძლება მაკულატურაში გადაზრდილიყო, მესამე — საბჭოთა კავშირში არიან „სტაჟიანი უბინაო“ უბნის ინსპექტორები და აქედან ბევრი მათგანი სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობს (ქირით რა თქმა უნდა), და მეოთხე — რატომ არის დარწმუნებული, რომ ზოგიერთი დადგენილება ქაღალდზე დასარჩენად არ არის მიღებული? ამასთანავე, რატომ ეგონა რიგით მეთოთხმეტეს, მეცამეტე-თარს წელს მისცემდნენ ბინას... ეს ხუმრობით.

სერიოზულად კი — თუ სატელევიზიო გადაცემებს დავუჯერებთ, ცხინვალში ზოგიერთ ოჯახზე ასეულ კვადრატულ მეტრ ფართობიან ბინებს არიგებენო, ასეთ ხელგაშლილ ადამიანებს რატომ არ ემეტებათ მილიციის თანამშრომლებისათვის რამდენიმე ათეული მეტრი ფართობი გაუგებარია. ან იქნებ ფიქრობენ, რომ გულგატეხილი თანამშრომლები სათანადო სიფხიზლით დაიცავენ მათ სიმშვიდეს?

**ვ. ნადირაძე.**

●

**საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე შს ორგანოების ადგილობრივი ხელმძღვანელობა?**

**რედაქცია ელის პასუხს.**

## ИЗ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

ЭТОЙ ПУБЛИКАЦИЕЙ НАША ГАЗЕТА ОТКРЫВАЕТ НОВУЮ РУБРИКУ, МАТЕРИАЛЫ КОТОРОЙ БУДУТ РЕГУЛЯРНО ЗНАКОМИТЬ ЧИТАТЕЛЕЙ С ОПЫТОМ ЗАРУБЕЖНЫХ КОЛЛЕГ, А ТАКЖЕ С СОСТОЯНИЕМ ПРАВОВОЙ КУЛЬТУРЫ НАСЕЛЕНИЯ В РАЗЛИЧНЫХ СТРАНАХ МИРА.

### Полиция и население: через общение—к взаимопониманию

**В США** в настоящее время более чем в двухстах городах осуществляются программы общественной деятельности патрульной службы полиции, причем, 60 процентов из них разработаны в течение последних трех лет. Эти программы созданы для развития активного сотрудничества полиции с населением. «Они, — считает Роберт Троянович, возглавляющий «Национальный исследовательский центр пешего патрулирования при Мичиганском государственном университете, — ориентируют на поиск путей решения проблем на начальных стадиях, т. е. до возникновения конфликта с законом».

Суть этих программ заключается в том, что патрульные полицейские уделяют из своей восьмичасовой смены определенное время на развитие контактов с гражданами.

Например, в Далласе, где действует программа «Остановись, иди и поговори», во всех трех сменах каждый патрульный полицейский останавливает свою автомашину по крайней мере, на 30 минут, четыре дня в неделю, чтобы пообщаться с населением.

Процесс такого общения может включать объяснение подросткам, как работает радиосвязь патрульной машины, разговоры о насущном с рабочими в магазинах, на ярмарках, в увеселительных центрах, посещение собраний граждан в библиотеках, центрах, лечебных заведениях.

Полицейские помогают людям отыскивать автобусные расписания, доставляют сбившихся с пути мотоциклистов до ближайших телефонных будок или заправочных станций. Если раньше полицейским не разрешалось помогать гражданам, например, открывать их машины, то сейчас в любой день недели полицейским патрулям поступает 8-10 просьб «дать прикурить» от аккумулятора. Все это оборачивается ощутимой отдачей в виде хороших отношений с жителями района.

От участкового патрульного полицейского не требуется разработки схемы патрулирования. Он видоизменяет свой маршрут и распределяет часы работы так, как того требует обстановка. В соответствии с программой, полицейские обходят участок, вступают в разговоры с жителями, собирая от них необходимые сведения, вникают в их нужды. В итоге, «люди начинают чувствовать себя в большей степени безопасности, потому что видят и знают в лицо участковых полицейских».

Там, где действуют программы общественной деятельности, полицейские занимаются обучением населения. Основная его цель — сделать жителей своими активными помощниками. «Проживающие в данном районе, — отмечает Троянович, — должны стать глазами и ушами полиции и обязаны разделять определенную долю ответственности за свою собственную безопасность».

Пешее патрулирование, по мнению специалистов, никогда не окажется способным заменить патрулирование на автомашине, так как в 10-15 процентах всех вызовов полиции требуется немедленное реагирование. Что же касается оставшихся 85 процентов случаев, при которых мгновенные действия не обязательны, пеший патруль — лучший способ использования и без того крайне ограниченных резервов полиции, которые находятся в распоряжении органов, исполняющих требования закона.

Мешает ли программа «Остановись, иди и поговори» выполнению графика работы полицейского? Вот мнение ее участников: «Нам необходимо отыскать время, чтобы детально ознакомиться с участком патрулирования и нуждами проживающего на нем населения. Программа предоставляет нам такую возможность. Люди разделяют наши заботы, они учатся с уважением относиться к полицейскому, доверять ему. И такие вещи, о которых тебе никогда не скажут по телефону и ты никогда не услышишь, сидя за рулем патрульной машины, открываются тебе лишь в разговоре с глазу на глаз. Например, торговцам удалось подсмотреть, как грабили автомашины на ближайшей автостоянке, и они сообщили нам такую деталь, как время суток. Мы устроили засаду и вскоре взяли преступников с поличным».

Доказательство того, что программы общественной деятельности полиции являются эффективными, можно проиллюстрировать на примере города Флинта. Там за время действия программы «Остановись, иди и поговори» на 8,7 процента снизился уровень преступности и на 40 процентов — число вызовов полиции.

Составитель
**И. Б. Полякова.**



# რამდენიმე დღე ვეტერანი ჩეკისტის ცხოვრებიდან

**საქართველოს ალკკ ცკ-ის რეკომენდაციით მივიდა 1939 წელს შს ორგანოებში სამუშაოდ ამჟამად გადამდგარი მილიციის მაიორი მ. მახარაძე. 1971 წლამდე, სანამ პენსიაზე გავიდოდა, პირნათლად ემსახურა საბჭოთა ჩეკისტის ურთულეს მოვალეობას. სხვადასხვა დროს მუშაობდა, როგორც სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულად, ისე გამომძიებლად და სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში. მრავალჯერ დაიმსახურა ხელმძღვანელობისგან ჯილდოები, როგორც ჭეშმარიტი კომუნისტი რამდენჯერმე იყო არჩეული თავისი სამსახურის პარტორგანიზაციის მდივნად, რაიონული კონფერენციის დელეგატად.**

**მ. მახარაძე დღესაც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველი მაისის რაიონში ერთ-ერთი საბინაო-საექსპლუატაციო უბნის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარეა.**

**მოსაგონარი ბევრი აქვს ვეტერანს. მისი ჩეკისტური საქმიანობის ყოველი დღე დაძაბულობით, ხიფათით იყო დამუხტული. გთავაზობთ ერთ მცირე ეპიზოდს მისი ავტობიოგრაფიიდან.**

●

1943 წლის 16 სექტემბერს გამოვცხადდი თბილისის მილიციის მესამე განყოფილებაში, რომელიც იმჟამად ფიროსმანის ქუჩაზე მდებარეობდა. დამნიშნეს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსოპერრწმუნებულად. ერთი თვის შემდეგ, ნოემბერში, განყოფილების პარტორგანიზაციის საერთო კრებამ ერთსულოვნად მიმიღო სკკპ წევრობის კანდიდატად.

...ომიანობის პერიოდი იდგა, ჩვენს ტერიტორიაზე ხშირი იყო ქურდობის, ძარცვის შემთხვევები. ყოველ დილას შეშფოთებული შევდიოდი განყოფილებაში. ვიცოდი პასუხისმგებელი მორიგე ახალ, არასასიამოვნო ამბავს დამახვედრებდა. განსაკუთრებით ხშირად ვღებულობდი ოპერატიულ ინფორმაციებს „ქართლელი მაქროს“, „ავლაბრელი ელიშას“, „ნახალოვკელი ბორიას“, „ვერელი კოლიას“, „დიდუბელი პატარა [illegible] ვასიას“ და სხვა [illegible] ტების „საქმიანობაზე“.

ერთხელ, სტალინის სახელობის საკოლმეურნეო ბაზარში რეიდის დროს, (ახლანდელი პირველი მაისის) საეჭვო პიროვნება შევაჩერეთ. საბუთები არ აღმოაჩნდა, დავადგინეთ მისი გვარი და ბინის მისამართი. იგი „ნახალოვკელი ბორია“ აღმოჩნდა, გაგვიჭირდა დანარჩენების ვინაობის დადგენა, თუმცა ვინაობის ცოდნა საკმარისი არ იყო მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად, საჭირო იყო სათანადო მამხილებელი მასალების შეგროვება. 1943 წლის ნოემბრის თვის უმთავრო ღამეს მე, ოპერრწმუნებულის თანაშემწე ქ. კოკაია და მილიციის დამხმარე ბრიგადირი ვანო, (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს) შემოვლა-რეიდზე გავემართეთ, იქნებ დამნაშავეებს გადავწყდომოდით. კოკაიამ კონსპირაციისთვის. გლეხის ტანსაცმელი გადაიცვა. მივუახლოვდით საბჭოს ქუჩიდან ნაძალადევში გადასასვლელ გვირაბს. ვანო და კოკაია დაწინაურდნენ. მე შორიდან ვუთვალთვალებდი. მოულოდნელად მათ სამი შეიარაღებული მძარცველი დაესხა თავს. ერთს ცეცხლსასროლო იარაღი დავუნახე, ორს ფინური დანა. „თუ გინდათ ცოცხალი დარჩეთ, რაც გაქვთ ამოიღეთ და მოგვეცითო“ — უბრძანა კოკაიას ერთ-ერთმა. კოკაიამ მეგრული აქცენტით უპასუხა: „ერთი უბრალო გლეხი ვარ და არაფერი გამაჩნიაო“. მძარცველები თავისას არ იშლიდნენ. ყველაფერს წამები წყვეტდა. მე და მილიციის კიდევ ერთი თანამშრომელი დასახმარებლად გავემართეთ. სიბნელის მიუხედავად მძარცველებმა მაინც შეგვამჩნიეს და გაქცევა სცადეს, გამაფრთხილებლად გავისროლე და დანებება მოვთხოვე. აქ კოკაიამ იმარჯვა, გასაქცევად გამზადებულ ერთ-ერთ მძარცველს ფეხი გამოსდო და წააქცია. სამბოს ილეთებით მძარცველი უვნებელყავით. ორმა გაგვასწრო და თან ორჯერ გვესროლეს, გადავწყვიტეთ დევნა გაგვეგრძელებინა. ერთი მათგანი საბჭოს ქუჩის № 90 სახლთან შევამჩნიეთ, ცდილობდა სიბნელით ესარგებლა კედელს შეფარებულიყო. წინააღმდეგობა არ გაუწევია ისე დაგვნებდა. გავჩხრიკეთ, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოვუჩინეთ. ცეცხლსასროლი იარაღის გადაგდება მოესწრო.. ცოტა ხანში მიწაზე დაგდებული „ბრაუნინგის“ ბრჭყვიალმაც მოგვტაცა თვალი. დაკავებულმა უარყო, რომ „ბრაუნინგი“ მას ეკუთვნოდა. სამორიგეოში გაირკვა — იარაღიდან მხოლოდ ორი ტყვია იყო გასროლილი. (მესამე ტყვია ლულაში გაჩხერილიყო. ალბათ ამიტომ ვერ შეძლო მძარცველმა ჩვენთვის ორზე მეტი ესროლა.) ექსპერტიზამ დაადგინა — ვაზნები ამ იარაღიდან იყო გასროლილი. დაკითხვის დროს მძარცველმა თავი დამნაშავედ ცნო — იგი ჩვენთვის ნაცნობი „ნახალოვკელი ბორია“ გახლდათ.

მეორე მძარცველმაც დაასახელა თავისი ვინაობა — „ავლაბრელი ელიშას“ სახელი კარგად იყო ცნობილი დამნაშავეთა წრეში. უცნობი იყო მესამე ბოროტმოქმედი. დაკავებული ბორია და ელიშა თავიდან უარყოფდნენ იმ ფაქტს, რომ მათთან მესამე პირიც იმყოფებოდა, მაგრამ გამოძიებამ დაადგინა მისი ვინაობაც და ხუთწლედის ქუჩაზე დავაკავეთ მესამე დამნაშავეც — „ქართლელი მაქრო“. ჩხრეკისას სამივე ბინაში აღმოვაჩინეთ სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. მძარცველებმა ნივთმტკიცებები ველარ უარყვეს. პროკურორის სანქციით ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ.

მას შემდეგ რამდენიმე თვე უბანში არაფერი მომხდარა.

* * *

**ხურათზე: მ. მახარაძე (1940 წ.)**

### ОБЪЯВЛЕНИЕ

В справочно - информационном фонде Информационного центра МВД Грузинской ССР организована выставка спец литературы на тему: «Рецидивная преступность и борьба с ней».

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. №23, ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29. უე 00257

რედაქტორი
ა. კობალაძე